ხელშეკრულება №350402/165
(მრავალწლიანი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

("ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის" 2011 წლის
სახელმწიფო პროგრამის მომსახურება)

ქ. თბილისი " 1 " "აპრილი" 2011წ.

დაიდო ერთის მხრივ, სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მ. ასათიანის ქ.№9) გენერალურ დირექტორს ნატო ავალიანსა (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, [illegible] დირექტორს [illegible] (შემდგომში "მიმწოდებელი") შორის შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საფუძველი

1.1 "საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი.
1.2 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[I] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.
1.3 „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი.
1.4 „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონი.
1.5 „ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროგრამების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 მარტის №113 დადგენილება.
1.6 2011 წლის 24 მარტის საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის პაპუნა პეტრიაშვილის №04-02/4480 წერილი.
1.7 „საქართველოში გადამდებ დაავადებების/აფეთქებების კვლევის, კოდირების, ვაქცინაციით მართვადი დაავადებების და ჰიდროფობიის შემთხვევათა ეპიდემიოლოგიური მართვისა და გავრცელების პროფილაქტიკის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 2 თებერვლის 55/ო ბრძანება.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ "ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის" სახელმწიფო პროგრამით (2011 წლის "საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 35 04 02) გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 2011 წლის პროგრამის ფარგლებში გასაწევი მომსახურების ღირებულებაა არაუმეტეს 9162,90 (ცხრაათასასამოცდაორი ლარი და 90 თეთრი) ლარისა მ.შ „ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებსა და მუნიციპალურ დონეზე ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციის საინფორმაციო სისტემის, ლოჯისტიკის განხორციელება" ღონისძიების ფარგლებში არაუმეტეს 4760 (ოთხი ათას შვიდას სამოცი ლარი და 00 თეთრი) ლარისა (დანართი 1), „მალარიის სტანდარტული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, გადამტანებზე კონტროლი" ღონისძიების ფარგლებში არაუმეტეს 4402,90 (ოთხიათასოთხასორი და 90 თეთრი) ლარისა (დანართი 1.1). 2011 წლის დეკემბრის თვის გასაწევი მომსახურების ღირებულებაა არაუმეტეს 713,60 (შვიდასცამეტი ლარი და 60 თეთრი) ლარისა, მ. შ. „ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებსა და მუნიციპალურ დონეზე ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციის საინფორმაციო სისტემის, ლოჯისტიკის განხორციელება" ღონისძიების ფარგლებში არაუმეტეს 595 (ხუთას ოთხმოცდათხუთმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარისა (დანართი 2), „მალარიის სტანდარტული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, გადამტანებზე კონტროლი" ღონისძიების

ფარგლებში არაუმეტეს 118,60 (ასთვრამეტი ლარი და 60 თეთრი) ლარისა (დანართი 2.1), რომელიც ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3.2 ხელშეკრულების ერთიანი ეკონომიკური პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით.
3.3 შესაძლებელია მოხდეს სიტუაციური ცვლილებები, რომელიც წარმოიქმნება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და გაფორმდება შესაბამისი ცვლილების სახით იმ შემთხვევაში თუ ცვლილება დაკავშირებული არ არის ხელშეკრულების საერთო ღირებულების გაზრდასთან.

4. ხელშეკრულების ობიექტი

ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია (შემდგომში "მომსახურება"):
4.1 მუნიციპალურ დონეზე ეპიდზედამხედველობის განხორციელება.
4.2 მუნიციპალური სჯდ ცენტრების მიერ სამოქმედო ტერიტორიაზე სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგი გადამდებ დაავადებებზე მონაცემთა ხარისხის უზრუნველსაყოფად.
4.3 მუნიციპალურ ერთეულში საინფორმაციო სისტემის განხორციელება.
4.4 მუნიციპალური სჯდ ცენტრების მიერ სამოქმედო ტერიტორიაზე სამედიცინო დაწესებულებების დამხმარე ზედამხედველობა (მონიტორინგი) იმუნიზაციის შესრულებაზე, „ცივი ჯაჭვის", საინფორმაციო სისტემის განხორციელებაზე.
4.5 მუნიციპალური სჯდ ცენტრების მიერ ტერიტორიულ ერთეულში იმუნოპროფილაქტიკისათვის საჭირო მასალის და აღჭურვილობის ლოჯისტიკის განხორციელებაზე ზედამხედველობა.
4.6 მუნიციპალური სჯდ ცენტრების მიერ სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და წარდგენა.
4.7 სამოქმედო ტერიტორიაზე სპეციალური სკრინინგული გამოკვლევა პროტოზოული და დაავადებების და ჰელმინთოზების გამოსავლენად (სამედიცინო სტანდარტის კოდი-3), სხვა პროფილაქტიკური ქიმიოთერაპია (სამედიცინო სტანდარტის კოდი-4), სხვადასხვა სადგომების გამოკვლევა, კოღოს გამოვლინება და მოსპობა (საბონიფიციაო სამუშაოები) (სამედიცინო სტანდარტის კოდი-6) შესაბამისად (დანართი 4, დანართი 5).
4.8 სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული დავალებების შესრულება და შესრულების შესახებ ინფორმაციის წარდგენა "შემსყიდველისათვის".

5. შესყიდვის ობიექტის გაწევის ადგილი და პირობები

5.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ადგილია მუნიციპალური ერთეული;
5.2 "შემსყიდველი" ითვალისწინებს, რომ "მიმწოდებლისათვის" სრულადაა ცნობილი დასახული ამოცანები და მათ შესასრულებლად გამოსაყენებელი ნორმატიული დოკუმენტაცია.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი, ფორმა და ვადები

6.1 „მომსახურების" მიწოდების ადგილი – თბილისი, მ. ასათიანის ქ. 9, სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.
6.2 მიწოდების ფორმა – „მომსახურების" ღონისძიებათა შესრულება „შემსყიდველის" მიერ თანდართული ფორმებით.
6.3 „მომსახურების" შედეგების მიწოდების ვადა – ყოველთვიურად, მომდევნო თვის 7 რიცხვამდე,.
6.4 „მომსახურების" გაწევის ვადაა – 2011 წლის 1 აპრილიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1 "მიმწოდებელი" ყოველთვიურად (ყოველკვარტალურად, წლიურად) წარმოადგენს ანგარიშს მის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული „მომსახურების" (შესრულებული სამუშაოს) შესახებ თანდართული ფორმებით (ფორმა 1/ს, ფორმა 1, ფორმა 2, სტატისტიკური საანგარიშგებო IV-01, IV-02, IV-03, IV-03/ა, IV-06, IV-07, IV-07/ა და IV-04), „საქართველოში გადამდებ დაავადებების/აფეთქებების კვლევის, კოდირების, ვაქცინაციით მართვადი დაავადებების და ჰიდროფობიის შემთხვევათა ეპიდემიოლოგიური მართვისა და გავრცელების პროფილაქტიკის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 2

თებერვლის 55/ო ბრძანებით განსაზღვრული ფორმებით, ბაქტერიული მენინგიტის ეპიდკვლევისა და ნაწლავთა მწვავე ინფექციის აფეთქების (ჯგუფური შემთხვევის) სააღრიცხვო ბარათებით.
7.2 „მიმწოდებელი" ყოველთვიურად წარმოადგენს "იმუნიზაციის" პროგრამაში მონაწილე იურიდიული და ფიზიკური პირების ყოველთვიურ რეესტრს (დანართი 3).
7.3 ანგარიშების ფორმებში ცვლილებათა შეტანა დაუშვებელია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეიქმნება ობიექტური საჭიროება ანგარიშგების გაუმჯობესების მიზნით ან სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესით.
7.4 "მიმწოდებელი" სრულად აგებს პასუხს მის მიერ მიწოდებული ანგარიშების უტყუარობაზე. "მიმწოდებელი" ადგილზე ინახავს ანგარიშებს და პირველად დოკუმენტაციას დადგენილი წესის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში გაცნობისათვის პირველივე მოთხოვნისთანავე წარუდგენს "შემსყიდველს".
7.5 არასწორად, არასრულად ან არაკორექტულად წარმოდგენილი ანგარიშსწორების ფორმა უბრუნდება "მიმწოდებელს" მის საბოლოო შესწორებამდე, ამასთან შედეგებზე იგი პერსონალურად აგებს პასუხს.
7.6ანგარიშსწორება "მიმწოდებელსა" და "შემსყიდველს" შორის ხდება წარმოდგენილი ანგარიშების ფორმების შედეგების მიხედვით.
7.7 "მიმწოდებელის" მიერ გაწეული „მომსახურების" შესახებ ანგარიშის დაგვიანებით წარმოდგენის ან არწარმოდგენის შემთხვევაში "შემსყიდველი" მისი სახაზინო სამსახურში წარდგენის საკითხს გადაწყვეტს განხილვის შემდგომ.

8. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

8.1 ანგარიშსწორების ფორმაა – უნაღდო ანგარიშსწორება.
8.2 ანაზღაურება ხდება თვეში ერთხელ წარმოდგენილ ფაქტიური ხარჯის, შეთანხმებული დანართისა და გასაწევი მოცულობის შესაბამისად.
8.3 ანგარიშსწორება მოხდება ეროვნული ვალუტით - ლარი.

9. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

9.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრული შესრულების შემდგომ ან/და გარკვეული ეტაპის დამთავრების შემდგომ მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.
9.2 შესყიდვის ობიექტის მიღებისა და საბოლოო შემოწმების ადგილია: ქ. თბილისი, მ. ასათიანის ქ. 9, სსიპ-ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.
9.3 შესყიდვის ობიექტის მიღების დროს გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "მიმწოდებელი".
9.4 შესყიდვის ობიექტის არასათანადო შესრულებისას "შემსყიდველს" უფლება აქვს არ გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი და მოითხოვოს "მიმწოდებლისაგან" მისი სრული და დროული შესრულება.

10. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

10.1 "მიმწოდებელი" იძლევა "მომსახურების" შესაბამისი ხარისხის სრულ გარანტიას.
10.2 უხარისხო "მომსახურების" მთლიანად ან ნაწილის გამოსწორება ხდება "მიმწოდებელის" მიერ რაიმე დამატებითი ხარჯების მოთხოვნის გარეშე.

11. მხარეთა უფლება-მოვალეობები

11. 1 "შემსყიდველი" ვალდებულია:
11.1.1 აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" გაწეული „მომსახურების" ღირებულება.
11.1.2 მიაწოდოს "მიმწოდებელს" ინფორმაცია და სრული დოკუმენტაცია შესასყიდი ობიექტის შესახებ.
11.1.3 დაუყოვნებლივ აცნობოს "მიმწოდებელს" მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც შედის "შემსყიდველის" კომპეტენციაში და რომელიც შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.
11.2 "მიმწოდებელი" ვალდებულია:
11.2.1 მიაწოდოს "შემსყიდველს" "მომსახურება", რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და ყველა სხვა მონაცემებით "შემსყიდველის" დაკვეთას.

11.2.2 აცნობოს "შემსყიდველს" ყველა იმ ცვლილებათა შესახებ, რაც პირდაპირ ან ირიბად უხლება ხელშეკრულებას.
11.2.3 დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებანი.
11.2.4 ფორმა IV-01 (სოფლის ექიმის ანგარიში)-ის ვიზუალური შემოწმება და შესაბამისი მეთოდური დახმარების გაწევა.
11.3 "შემსყიდველი" უფლებამოსილია:
11.3.1 მოითხოვოს "მიმწოდებლისაგან" ხელშეკრულების ყველა პუნქტის უცილობელი შესრულება;
11.3.2 უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ "მიმწოდებელი" დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგება დაუძლეველი ძალა;
11.3.3 მოითხოვოს "მიმწოდებლისაგან" სათანადო განმარტებანი, დოკუმენტაცია, რომლის არსებობის გარეშეც შეუძლებელი იყო "მომსახურების" გაწევა;
11.3.4 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს იმ შემთხვევაში თუ "მიმწოდებელის" ქმედების გამო იგი დგება ფაქტთან, რომ შეიძლება დაირღვეს სახელმწიფო ინტერესები, მოითხოვოს ზარალის სრული ანაზღაურება;
11.3.5 არ სცნოს "მიმწოდებელის" არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.
11.3.6 არ აანაზღაუროს სამოქმედო ტერიტორიაზე მუნიციპალურ ერთეულებში არსებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურების მიერ გაწეული "მომსახურება", რომელთა ინსპექტირების დროს ისინი არაკორექტულად იქნა მიჩნეული;
11.3.7 არ აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო ხელშეკრულებით განსაზღვრული ფორმების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში.
11.4 "მიმწოდებელი" უფლებამოსილია:
11.4.1 მოითხოვოს "შემსყიდველისაგან" მის მიერ მიწოდებული "მომსახურების" ღირებულების ანაზღაურება.
11.4.2 განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან გაგრძელებაზე იმ შემთხვევაში თუ "შემსყიდველის" მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო შეუძლებელი ხდება "მომსახურების" მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.
11.4.3 აწარმოოს მოლაპარაკება "შემსყიდველთან" სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეტანისათვის.
11.4.4 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს "შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.

12. ხელშეკრულების სხვა პირობები

12.1 ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შესახებ მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.
12.2 "შემსყიდველი" დროებით სარგებლობაში გადასცემს "მიმწოდებელს" ხელშეკრულებით განსაზღვრულ ღონისძიებათა შესრულებისათვის ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ბალანსზე რიცხულ ქონებას (სამედიცინო და სხვა დანიშნულების).
12.3 "შემსყიდველი" უფლებამოსილია თემატური წერილებისა და სამართლებრივ სპეციფიკურ სამედიცინო ასპექტებთან მიმართებაში მიიღოს ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით კვალიფიციური პასუხები და ინფორმაცია "მიმწოდებლისგან".
12.4 "შემსყიდველი" არ მიიჩნევს დასაშვებად ხელშეკრულებაში მითითებული ფასების შეცვლას.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შესწორებით.
13.2 მხარეებს არ ენიჭება უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობა.
13.3 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ხელშეკრულებაში ცვლილებათა შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს,

"შემსყიდველი" არ არის ვალდებული წარუდგინოს "მიმწოდებელს" რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რამაც წარმოშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
13.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ფორმდება ხელშეკრულებაზე დამატების სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეულ პირობათა მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
14.2 მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე არაუგვიანეს ერთი თვისა.
14.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს სხვა ვალდებულებათა შესრულებისაგან.
14.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
14.5 "შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
14.5.1 თუ "შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო "მიმწოდებელი" ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
14.5.2 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
14.6 "შემსყიდველი", ამ მუხლის 14.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევაში, ვალდებულია აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" ფაქტიურად გაწეული "მომსახურების" ღირებულება.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისას ორივე მხარის მიმართ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრული იქნება საჯარიმო სანქციები;
15.2"მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოყენებული საჯარიმო სანქციები განისაზღვრება არა მარტო მიწოდებული "მომსახურების" ფარგლებში, არამედ "შემსყიდველისათვის" იმ დანახარჯების ანაზღაურებით, რაც აუცილებელი (უხარისხო "მომსახურება" და სხვა) გახდება მის მიერ განსახორციელებელი "მომსახურების" სავალდებულო შესრულებისათვის

16. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

16.1 "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და შესაბამისად "მომსახურების" მიზნობრივად გატარების შესახებ "შემსყიდველი" უფლებამოსილია:
16.1.1 ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე მოითხოვოს აუდიტორული შემოწმება. უშუალოდ განახორციელოს ინსპექტირება, რომელიც შეეხება ყოველთვიური "მომსახურების" პერიოდს (ან "მომსახურების" დასრულებულ ციკლს) და ჩატარებულ იქნება მომდევნო თვის განმავლობაში.
16.1.2 არ აანაზღაუროს ინსპექტირების შედეგად არაკორექტულად მიჩნეული სამუშაოები და ხარჯები და დააყენოს საკითხი შესაბამისი პასუხისმგებლობის შესახებ, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

17. უფლებების გადაცემა

17.1 "მიმწოდებელს" არა აქვს უფლება "შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

18. ქვე-კონტრაქტორები

18.1 ხელშეკრულების ფარგლებში მალარიას შემთხვევის დაფიქსირებისთანავე მოქმედ ქვე-კონტრაქტორებად განისაზღვრება შესაბამისი ტერიტორიული სამედიცინო დაწესებულება ან საჭიროების შემთხვევაში ს.ს "ს. ვირსალაძის სახ. სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის ს/კ ინსტიტუტი"

18.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვე-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს "შემსყიდველს".
18.3 ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული არც ერთი ქვე-კონტრაქტი არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
18.4 ყველა ქვე-კონტრაქტორის ქმედება უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის ძირითად ამოცანებს.
18.5 ქვე-კონტრაქტი, რომელიც არ შეესაბამება მოთხოვნებს "შემსყიდველის" მიერ არ იქნება მიღებული.

19. დაუძლეველი ძალის მოქმედება

19.1 მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარეთა პასუხისმგებლობას საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველი გარემოებათა შედეგი.
19.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, საბიუჯეტო ასიგნებების შემცირებით არათანაბარი და წყვეტილი დაფინანსების დროს და სხვა მასთან გათანაბრებული მოვლენები.
19.3 დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარეებმა, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისაგან.
19.4 დაუძლეველი ძალის არსებობა უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები სახით.

20. სადაო საკითხების გადაწყვეტა

20.1 "შემსყიდველსა" და "მიმწოდებელს" შორის, წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ გვარდება მოლაპარაკების წესით.
20.2 თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, რის შესახებაც იგი აცნობებს მეორე მხარეს.

21. გამოსაყენებელი სამართალი

21.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

22. ხელშეკრულების ენა

22.1 ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

23. ურთიერთობა მხარეებს შორის

23.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ

ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით, ან პირადი გადაცემით (კურიერის მეშვეობით).
23.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

24. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობის დარღვევისათვის

24.1 მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების პირობების სრული შესრულებისათვის.
24.2 "მიმწოდებელის" პასუხისმგებლობა ვრცელდება არა მარტო გასაწევი "მომსახურების" ფარგლებში, არამედ "შემსყიდველისათვის" ყველა იმ დანახარჯების ანაზღაურებით, რაც აუცილებელი იქნება მის მიერ სახელმწიფო პროგრამის აუცილებელი შესრულებისათვის.

25. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

25.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2011 წლის 1 აპრილიდან 2012 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
25.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.
25.3 ხელშეკრულების მოქმედება წყდება მხარეების მიერ ვალდებულებათა შესრულების შემდგომ, მიღება-ჩაბარების და ურთიერთშეთანხმების ოქმების შედგენის შემდგომ.

26. განსაკუთრებული შენიშვნები

26.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ითვალისწინებს და არ შეიძლება ცდებოდეს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონს.
26.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარძალოვან ეგზემპლიარად, საიდანაც ერთი ეგზემპლიარი რჩება "მიმწოდებელს".

27. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

თბილისი მ. ასათიანის ქ. 9

"მიმწოდებელი"
ბანკის დასახელება
[illegible]
ა/ა GE03LIB0125117300449000
ბანკის კოდი LIBRTGE22
საიდენთ.კოდი 203828304

"შემსყიდველი"
სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი

_____ ნაგო ავალიანი

ბ.ა.

ვიზა:

_____ ხათუნა გორგაძე

"მიმწოდებელი"
[illegible]

_____

კონფიდენციალური

დანართი 1

ეკონომიკური კლასიფიკატორი	საორიენტაციო ხარჯი (1 თვე)	სულ ხარჯი (8 თვე)
ხელფასი	490	3920
საქონელი და მომსახურება	105	840
სულ	595	4760

სსიპ "ლ.საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი:

ნატო ავალიანი

[illegible]

დანართი 1.1

კოდი	დასახელება	ერთეულის ფასი (ლარი)	სახელშეკრულებო ლიმიტი (რაოდენობა)	სახელშეკრულებო თანხა
3	სპეციალური სკრინინგული გამოკვლევა პროტოზოული და დაავადებების და ჰელმინთოზების გამოსავლენად (მალარია)	11,41	90	1026,90
6	სხადასხვა სადგომების გამოკვლევა კოღოს გამოვლინება და მოსპობა (საბონიფიკაციო სამუშაოები)	4,22	800	3376,00
	სულ			**4402,90**

სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი:

ნატო ავალიანი

დაწესებულების ხელმძღვანელი:

დანართი 2

ეკონომიკური კლასიფიკატორი	საორიენტაციო ხარჯი (1 თვე)
ხელფასი	490
საქონელი და მომსახურება	105
სულ	595

სსიპ "ლ.საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი:

ნატო ავალიანი

ბ.ა

211324351

226576131

დანართი 2.1

კოდი	დასახელება	ერთეულის ფასი (ლარი)	სახელშეკრულებო ლიმიტი (რაოდენობა)	სახელშეკრულებო თანხა
3	სპეციალური სკრინინგული გამოკვლევა პროტოზოული და დაავადებების და ჰელმინთოზების გამოსავლენად (მალარია)	11,41	10	114,10
4	სხვა პროფილაქტიკური ქიმიოთერაპია. ქიმიოპროფილაქტიკა (მალარია)	1,50	3	4,50
	სულ			**118,60**

სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი:

ნატო ავალიანი

ბ.ა

დაწესებულების ხელმძღვანელი:

ბ.ა

ფორმა 1,8 წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ყოველთვიური რეესტრი

ანგარიშგების თვე, წელი _____ ქალაქი/რაიონი/სოფელი/უბანი _____ **ფორმა: იურ/ფიზ. იმუნ2011**

აცრებზე პასუხისმგებელი ექიმის/ექთნის გვარი, სახელი

N	იურიდიული და ფიზიკური პირის დასახელება (გვარი, სახელი)	1.8 ფორმა წარმოადგინა	**არ წარმოადგინა**	12-დან 24 თვემდე ასაკის ბავშვთა რაოდენობა	საანგარიშგებო თვეში ჩატარებულ ძირითად აცრათა რაოდენობა															
					ბცჟ	ჰეპ ბ (სამშობიარო)	დყტ+ჰეპბ-ჰიბ (ვაქცინაცია)			ოპვ (ვაქცინაცია)			ოპვ 4	ოპვ 5	დყტ4	წწყ 1	წწყ 2	დტ	ტდ	სულ
							1	2	3	1	2	3								
1																				
2																				
3																				
4																				
5																				
6																				
7																				
8																				
9																				
10																				
11																				
12																				
13																				
14																				
15																				
16																				
17																				
18																				
19																				
20																				

შენიშვნა: სიაში შედის იმუნიზაციაზე ანგარიშვალდებული ყველა იურიდიული და ფიზიკური პირი

აცრებზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

დანართი 4

კოდი		დასახელება	ერთეულის ფასი (ლარი)
	3	სპეციალური სკრინინგული გამოკვლევა პროტოზოული და დაავადებების და ჰელმინთოზების გამოსავლენად (მალარია)	11,41
	4	სხვა პროფილაქტიკური ქიმიოთერაპია. ქიმიოპროფილაქტიკა (მალარია)	1.50
	6	სხადასხვა სადგომების გამოკვლევა კოღოს გამოვლინება და მოსპობა (საბონიფიკაციო სამუშაოები)	4,22

№	დასახელება			
3	**სპეციალური სკრინინგული გამოკვლევა პროტოზოული და დაავადებების და ჰელმინთოზების გამოსავლენად (მალარია)**			
	გამოკვლევები			რაოდენობა
	ექიმის ვიზიტი ინფექციის კერაზე გასვლით			1.0
	რეგისტრაცია და ეპიდემიოლოგიური კონტროლი			1.0
	მალარიაზე სქელი წვეთისა და ნაცხის მიკროსკოპირება			1.0
	მკურნალობა	დოზირებ	ერთეული	რაოდენობა
	ბამბა		1g	4.0
	სპირტი	96%	1მლ	1.0
	სკარიფიკატორი		ც	1.0
	სასაგნე მინა		ც	4.0
4	**სხვა პროფილაქტიკური ქიმიოთერაპია. ქიმიოპროფილაქტიკა (მალარია)**			
	გამოკვლევები			რაოდენობა
	მედდის ვიზიტი პაციენტთან ბინაზე			1.0
	მკურნალობა	დოზირებ	ერთეული	რაოდენობა
	პრიმანქინი	15მg	ტაბ	14.0
6	**სხვადასხვა სადგომების გამოკვლევა კოღოს გამოვლინება და მოსპობა (საბონიფიკაციო სამუშაოები)**			
			დამუშავებული ტერიტორიის რაოდენობა	ერთეული
I	სხვადასხვა სახის სადგომების გამოკვლევა კოღოს გამოვლინება და მოსპობა:		კვ.მ	
1.2	კოღოს დღისით სამყოფელისა და დაზამთრების ადგილების დამუშავება ხელით სასხურებელი აპარატების გამოყენებით:			
	თითოეული სადგომი საშუალოდ 40 კვ მეტრი (საშუალოდ 25 სადგომი)		1000	1,25
	100 კვ მეტრი (საშუალოდ 12 სადგომი)		1200	1,25
	300 კვ მეტრი (საშუალოდ 8 სადგომი)		2400	1,25
1.3	სადგომების გამოკვლევა კოღოების გამოვლენის მიზნით			
	ბინები (საშუალოდ 30 ბინა)		1200	1
	ცხოველების და ფრინველების სადგომი თითოეული 50 კვ მეტრი (საშუალოდ 25 სადგომი)		1250	1
	საწყობები, სარდაფები, ცხოველთა და ფრინველთა დიდი სადგომები თითოეული 100 კვ მეტრი (საშუალოდ 15სადგომი)		1500	1

ფორმა 1/ს

სარეგისტრაციო № _____

* მუნიციპალური ერთეული: _____
* დაწესებულების დასახელება: _____
* საბანკო რეკვიზიტები: _____
* შესრულების თვე: _____

	გაწეული ხარჯი (ლარი)	შენიშვნა
ხელფასი		
საქონელი და მომსახურება		
სულ		

დაწესებულების ხელმძღვანელი: _____

ბ.ა.

ფორმა 1

სარეგისტრაციო ნომერი

" ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის" 2011 წლის სახელმწიფო პროგრამა

* მხარე _____ ქალაქი _____

* შემსრულებელი დაწესებულების დასახელება _____

* საბანკო რეკვიზიტები _____

* შესრულების თვე _____

No	ამბულატორიული ბარათის ნომერი	გვარი, სახელი	სამედიცინო სტანდარტის კოდი	ღირებულება (ლარებში)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					
8					
9					
10					
11					
12					
13					
14					
15					
16					
17					

დაწესებულების ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი: **ბ. ა.**

1	2	3	4	5	6
18					
19					
20					
21					
22					
23					
24					
25					
26					
27					
28					
29					
30					
31					
32					
33					
34					
35					
36					
37					
38					
39					
40					
41					
42					

დაწესებულების ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი: **ბ. ა.**

სარეგისტრაციო ნომერი

ფორმა 2

"ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის"

2011 წლის სახელმწიფო პროგრამა

* მხარე _____ ქალაქი _____
* შემსრულებელი დაწესებულების დასახელება _____
* საბანკო რეკვიზიტები _____
* შესრულების თვე _____

	შესასრულებელი ღონისძიებების დასახელება	დამუშავებული ტერიტორიის რაოდენობა	შენიშვნა
I	სხვადასხვა სახის სადგომების გამოკვლევა კოღოს გამოვლინება და მოსპობა:	კვ.მ	
1,1	კოღოს დღისით სამყოფელისა და დაზამთრების ადგილების დამუშავება ხელით სასხურებელი აპარატების გამოყენებით:		
	თითოეული სადგომი საშუალოდ 40 კვ მეტრი (საშუალოდ 25 სადგომი)		
	100 კვ მეტრი (საშუალოდ 12 სადგომი)		
	300 კვ მეტრი (საშუალოდ 8 სადგომი)		
1,2	სადგომების გამოკვლევა კოღოების გამოვლენის მიზნით		
1,2,1	ბინები (საშუალოდ 30 ბინა)		
1,2,2	ცხოველების და ფრინველების სადგომი თითოეული 50 კვ მეტრი (საშუალოდ 25 სადგომი)		
1,2,3	საწყობები, სარდაფები, ცხოველთა და ფრინველთა დიდი სადგომები თითოეული 100 კვ მეტრი (საშუალოდ 15სადგომი)		

დაწესებულების ხელმძღვანელი:

მთ. ბუღალტერი:

ბ.ა